საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/54 " 10 " ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. აკობიასათვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

2022 წლის 5 ივნისს რამდენიმე სასამართლოს თავჯდომარეს, მათ შორის, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, ამოეწურა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა. თავმჯდომარეთა დანიშვნის საკითხი დაკავშირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებთან, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, რის გამოც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლის ნატრული აკობიასათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ნატრული აკობიას დაეკისროს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 13 ივნისიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე